7749

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП(б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა 5 ოქტომბერი 1941 წ. № 236 (6241) ფასი 15 კაპ.

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა უნებლიე აღიარება

ამ დღეებში ჩვენს პრესაში გამოქვეყნდა დოკუმენტი, რომელიც ცხადჰყოფს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა სისხლისმსმელობას და ამასთანავე მათს სისუსტეს. საქმე ეხება გერმანიის სარდლობის ა. წ. 25 სექტემბრის ბრძანებას 489-ე ქვეითი პოლკისადმი, რომელიც 29 სექტემბერს აღმოაჩნდა მოკლულ გერმანელ უნტერ-ოფიცერს კისკინოს რაიონში, ლენინგრადთან. გერმანიის ფაშისტური სარდლობის ეს უნებლიე აღიარება ძვირფასი და ფრიად საგულისხმოა; იგი მოწმობს, რომ სისხლისმსმელი, ვერაგი მტერი, რომელიც არავითარ საზიზღრობას არ ერიდება, ამავე დროს უკვე მნიშვნელოვნად დასუსტდა საბჭოთა ჯარების გმირული წინააღმდეგობით.

სსრ კავშირის წინააღმდეგ სამხარი ავანტიურის დაწყება ჰიტლერმა გაბედა იმ იმედით, რომ ეს ომი „ელვისებური" იქნებოდა, რომ მას რამდენიმე კვირის განმავლობაში დაამთავრებდა. მან თავის ბანდიტებს აღუთქვა იოლი სამხარი გასეირნება, რომლის დროს მათ უმნიშვნელო საშიშროება მოელოდათ, მცირეოდენი მსხვერპლის გაღება მოუხდებოდათ, მაგრამ სამაგიეროდ უხვ და მდიდარ ნადავლს იშოვიდნენ. ჰიტლერელი მოჩხუბრები შეეჩვივნენ და უყვართ „ნებივრად" ომობა.

ჰიტლერის არმიის მრავალი დოკუმენტიდან, რომლებიც ჩვენმა ჯარმა იგდო ხელთ, ჰიტლერელ ჯარისკაცთა და ოფიცერთა დღიურებიდან და წერილებიდან სჩანს, თუ რა მწარედ გაუცრუათ იმედი სსრ კავშირის წინააღმდეგ წარმოებულმა ომმა. „რუსები წესების მიხედვით არ ომობენ"—სჩივიან ჰიტლერელი მეომრები. თურმე, ნუ იტყვით, წითელი არმიის მეომრები ბატონ ფაშისტ დამპყრობლებს აწუხებენ არა მარტო დღისით, არამედ ღამითაც, თურმე, დაპყრობილ სოფლებსა და ქალაქებში მოსახლეობა, რომელმაც ვერ მოასწრო წითელ არმიასთან ერთად წასვლა, მტრულად ეკიდება საზიზღარ მძარცველებს, რომელნიც მოვიდნენ ჩვენი მიწა-წყლის ხელში ჩასაგდებად და ჩვენი ხალხის დასამონებლად. საბჭოთა ჯარი, იცავს რა თავს, გამანადგურებელ კონტრ-იერიშებზე გადადის. ჰიტლერის ჯარების დანაკლისი სულ უფროდაუფრო მატულობს, ხოლო ომი აშკარად ჭიანურდება, ზამთრის კამპანია გარდუვალია. ყოველივე ეს, ერთად აღებული, მნიშვნელოვნად ასუსტებს ჰიტლერელ მოჩხუბართა განწყობილებას.

გერმანიის სარდლობის ბრძანებიდან 489-ე ქვეითი პოლკისადმი სჩანს, რომ პოლკმა რამდენჯერმე უარი განაცხადა ესროლნა საბჭოთა ჯარისთვის, რის გამო გერმანიის სარდლობა დასჯას ემუქრება თავის ჯარისკაცებს. „ერთხელ კიდევ გამოირკვა,—ნათქვამია ბრძანებაში, — რომ შეტევის დროს და თავდაცვისას მსროლელნი და მეტყვიამფრქვეველნი არ ესროდნენ მტერს იმ მიზეზით, რომ ეშინოდათ ახლოსმყოფი მტრის არტილერიის ცეცხლისა, თუ იმ მიზეზით, რომ შიშობდნენ საკუთარი ცეცხლით მტრისათვის არ ენიშნებინათ თავისი ადგილსამყოფელი".

ეს შემთხვევა პირველი და ერთადერთი როდია. იმავე ლენინგრადის მიმართულებით ჯერ კიდევ სექტემბრის პირველ რიცხვებში გერმანიის 58-ე ქვეითი დივიზიის 220-ე პოლკმა უარი განაცხადა გადასულიყო შეტევაზე. პოლკს ალყა შემოარტყეს ჯარის სხვა ნაწილებმა და უკანდადგმულ ტყვიამფრქვევთა სროლის მუქარით აიძულეს შეტევაზე გადასულიყო.

ლენინგრადის მისადგომებთან გერმანელ ფაშისტთა ურდოებმა უკვე უდიდესი ზარალი განიცადეს. გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა მრავალი ათიათასი გვამით არის მოფენილი ლენინგრადის მისადგომები, მრავალი ასეული ტანკი, ჯავშნიანი მანქანა, თვითმფრინავი, უამრავი ტყვიამფრქვევი, ნაღმსატყორცნი, ქვემეხი დაჰკარგეს ჰიტლერელთა ბანდებმა ლენინის დიად ქალაქზე თავხედური იერიშების მიტანის დროს. ეს მძიმე დანაკლისი გერმანიის ფაშისტურ ჯარში სასოწარკვეთილებას იწვევს, რაც მთელ რიგ შემთხვევებში იქამდე მიდის, რომ ჯარისკაცები უარს ამბობენ ესროლონ საბჭოთა ჯარს.

„ეს მოწმობს მამაცობის უქონლობას,—ნათქვამია შემდეგ ბრძანებაში, — სილაჩრესა და სულმოკლეობაზე რომ არ ვილაპარაკოთ". „ჯარისკაცი, რომელიც ასე იქცევა, — განაგრძობს მორალიზებას ბრძანების ავტორი, —უკვე აღარ არის მეომარი, იმსჭვალება საკუთარი არასრულფასოვანობის გრძნობით, აშკარად უჩვენებს მტერს, რომ დამარცხებულად სთვლის თავს". მაშინ, როდესაც ობერცრუპენტელი გებელსის რადიო და პრესა ცდილობენ კარსმომდგარი მშიერი და ცივი ზამთრის წინაშე გერმანიის მოსახლეობის სულიერი დაცემულობა მოსპონ შემზარავი ღრიალით გერმანიის დაუსრულებელ „გამარჯვებათა" შესახებ, გერმანიის სარდლობა იძულებულია აღიაროს მწარე ჭეშმარიტებანი: გერმანიის ფაშისტური არმიის ჯარისკაცები სულ უფროდაუფრო ხშირად გრძნობენ დაბნეულობას, გრძნობენ თავიანთ სისუსტეს ომის მზარდ სიძნელეთა, ჰიტლერის არმიის უზარმაზარი დანაკლისის წინაშე. და მათ ებადებათ „საკუთარი არასრულფასოვანობის გრძნობა", რაც ყველაზე უფრო საშიშია მოძალადეთა და მძარცველთა „უმაღლესი რასის" წარმომადგენელთათვის.

ეს მოძალადენი სადისტთა სისხლისმსმელობით განირჩევიან. ბრძანების ავტორი ცივილიზებულ ხალხთა მიერ წარმოებული ომების ისტორიაში უმაგალითო, საშინელი უტიფრობით სწერს:

„გიბრძანებთ ესროლოთ ყოველ რუსს, როგორც კი იგი გამოჩნდება 600 მეტრ მანძილზე". ეს ნიშნავს შემდეგს. 600 მეტრზე გამოჩნდა რუსი კოლმეურნე ქალი — ცეცხლი! 600 მეტრზე გამოჩნდა რუს ბავშვთა ჯგუფი — ცეცხლი! 600 მეტრზე გამოჩნდა სამოცდაათი წლის რუსი მოხუცი — ცეცხლი! ყოველივე რუსული უნდა გაიჟლიტოს, უნდა მოისპოს. ასეთია თანამედროვე კაციჭამიათა ფიურერის — ჰიტლერის ნება-სურვილი. ასეთია გერმანიის ფაშისტური სარდლობის ბრძანებანი.

ბრძანებაში ნათქვამია:

„რუსმა უნდა იცოდეს, რომ მის წინააღმდეგ იბრძვის გაბედული მტერი, რომლისგანაც იგი არავითარ ლმობიერებას არ უნდა მოელოდეს". დიახ, ჩვენ მშვენიერად ვიცით როგორ მტერთან გვაქვს საქმე. რუსმა ხალხმა იცის, რომ იგი არ უნდა მოელოდეს „ლმობიერებას" გერმანელ ოფიცერთა და ჯარისკაცთა მუნდირით გამოწყობილ მხეცთაგან. მაგრამ დადგება დღე — ეს დღე უცილებლად დადგება! — და ლმობიერებას ითხოვს საზიზღარი მტერი. მაშინ მას მოვაგონებთ გერმანიის სარდლობის სისხლიან ბრძანებებს. ჩვენ დაუნდობლად ვიბრძოლებთ მტრის წინააღმდეგ მანამდე, სანამ უკანასკნელი ფაშისტი ჯარისკაცი არ იპოვის სამარეს ჩვენს წმინდა საბჭოთა მიწა-წყალზე!

„პრავდის" მოწინავე, 4/X

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

4 ოქტომბრის დილის ცნობა

3 ოქტომბრის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ მტერთან ბრძოლებს მთელ ფრონტზე.

* * *

დამატებითი ცნობებით გამოირკვა, რომ ფრონტის სამხრეთ-დასავლეთი მიმართულების ერთერთ უბანზე ჩვენმა ნაწილებმა, რომლებმაც დიდი ზარალი მიაყენეს გერმანელთა ჯარების მოტორიზებული ქვეითი ნაწილების დაჯგუფებას, ხელთ იგდეს დიდძალი ნადავლი, მათ შორის 500-მდე ავტომანქანა და 250 მოტოციკლი. ფრონტის სამხრეთ-დასავლეთი მიმართულების მეორე უბანზე მტერმა ჩვენ მიერ დანაღმულ ველზე ერთი დღის განმავლობაში დაჰკარგა 650 ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

უმცროსი ლეიტენანტის პეტრე მარიუტკინის თვითმფრინავთა რგოლმა 6 საბრძოლო ფრენის განმავლობაში მოსპო გერმანელთა 17 ჯავშნიანი მანქანა, 11 ტანკი, 4 ავტომანქანა და საზენიტო არტილერიის 9 ქვემეხი.

* * *

ჩვენი ყუმბარმშენების ჯგუფმა რომელიც ფრონტის ჩრდილოეთ-დასავლეთი მიმართულებით მოქმედებს, ერთი საბრძოლო ფრენის დროს მოსპო 33 ავტომანქანა გერმანელთა ქვეითი ჯარითურთ, საწვავის 2 საწყობი და 3 საარტილერიო ბატარეა.

* * *

ოდესის მისადგომების დამცველი ჩვენი ჯარების ერთი ჯგუფი წარმატებით დაესხა თავს მტერს. იერიშის შედეგად ქალაქის მამაცმა დამცველებმა ხელთ იგდეს 45 ქვემეხი, მძიმე შორსმსროლი ბატარეა, მრავალი ტყვიამფრქვევი, შაშხანა და სამხარი მასალა.

* * *

ინგლისის თვითმფრინავებმა — გამანადგურებლებმა, რომლებიც ფრონტის ერთერთ უბანზე მოქმედებენ, საჰაერო ბრძოლებში ჩამოაგდეს გერმანელთა 4 თვითმფრინავი „მესერშმიტი-109", ინგლისელთა ავიაგამანადგურებლებს ზარალი არ მოსვლია.

* * *

ფაშისტთა ზურგს საგრძნობ ზარალს აყენებენ პარტიზანები, რომლებიც მოქმედებენ ლენინგრადის ოლქის გერმანელთა მიერ ოკუპირებულ რაიონებში. პარტიზანულმა რაზმმა ამხ. კ-ის მეთაურობით ამ უკანასკნელი 3 კვირის განმავლობაში მწყობრიდან გამოიყვანა გერმანელთა 22 ტრაქტორი-გამწევი, 4 სამტონიანი მანქანა სამხარი მასალითურთ, მოსპო 12 კასრი საწვავი, ააფეთქა ხიდი, დასწვა წისქვილი, რომელშიც გერმანელები მარცვლეულს ფქვავდნენ, და რამდენჯერმე გასწყვიტა სატელეფონო კავშირი. მტერთან შეტაკებათა დროს პარტიზანებმა მოჰკლეს 5 ფაშისტი ოფიცერი და 13 ჯარისკაცი.

გერმანელთა ჯარების წინააღმდეგ აქტიურად იბრძვის პარტიზანული რაზმი ამხ. ბ-ის მეთაურობით. რამდენიმე დღეში რაზმმა მოსპო გერმანელთა 3 ავტომანქანა ჯარისკაცებითურთ. ჯავშნიანი მანქანა და 2 მოტოციკლი შოფერებიანად.

* * *

გერმანელ ჯარისკაცთა წერილები და ტყვეთა მიერ მოცემული ჩვენებანი მოწმობენ, რომ აღმოსავლეთის ფრონტზე მყოფი გერმანიის არმიის მთელ რიგ ნაწილებში დისციპლინა დაეცა. ტყვე ავსტრიელი ჯარისკაცი რუდოლფ ლაიზენბერგერი იუწყება, რომ მათს პოლკში მთელმა ასეულმა უარი განაცხადა საბრძოლო ბრძანების შესრულებაზე. 113-ე დივიზიის 260-ე პოლკში ჯარისკაცმა ბრენდა მორმა უარი სთქვა უნტერ-ოფიცერ კარლ კუგელის ბრძანების შესრულებაზე და ამასთან განაცხადა: „მე არა მსურს არასწორი საქმისათვის ვიბრძოლო და ამასთან ჩემი სიცოცხლე გავწირო".

ბელორუსიის სს რესპუბლიკის სოფელ სტარიე ზალიტვინიში ღამის გასათევად მივიდა გერმანელთა რაზმი. განთიადზე გერმანელები სალაშქროდ გაემზადნენ. ერთმა 40-45 წლის ჯარისკაცმა შაშხანა გადააგდო და დაიყვირა: „მომბეზრდა ომი, ამ ომში კარგს ვერაფერს ვხედავ. არ მინდა სხვისი მიწა-წყალი. შინ ჩემი ოჯახი შიმშილობს. სულ ერთია, რუსებს ვერ დავძლევთ. მეტი აღარ შემიძლია ვიომო". ამ ჯარისკაცს 9 კაცი შეუერთდა.

წერილებიდან და დღიურებიდან, რომლებიც მოკლულ ფაშისტ ჯარისკაცებს აღმოაჩნდათ და ტყვეებს ჩამოერთვათ, სჩანს, რომ ამ უკანასკნელ ხანს გერმანიის არმიაში გახშირდა თვითმკვლელობის შემთხვევები.

* * *

იუგოსლავიაში ანტიფაშისტური მოძრაობა სულ უფროდაუფრო ძლიერდება. სექტემბრის განმავლობაში სერბიელთა მრავალრიცხოვანმა პარტიზანულმა რაზმებმა გერმანელთა და იტალიელთა რამდენიმე გარნიზონი მოსპეს. ამის გამო გერმანელებმა პარტიზანულ რაზმების წინააღმდეგ გაგზავნეს დიდი სამხედრო ნაწილები და მძიმე არტილერია. პარტიზანთა და გერმანელთა ჯარის ნაწილის ბრძოლის დროს ფაშისტებმა ქვემეხები დაუშინეს სოფელ ლოზნიცას, კრუპანსა და ლიუბოვიას. როგორც სამხრეთ სერბიაში არსებული სერბიელთა მოკლეტალღიანი რადიოსადგური გადმოგვცემს, მარტო ქალაქ სკოპლეს მოსახლეობა შემცირდა 60 ათასიდან 20 ათას კაცამდე. მოსახლეობის ასეთი შემცირება გამოწვეულია დიდძალი ხალხის სიკვდილით დასჯით, დაპატიმრებებით და მოსახლეობის წასვლით პარტიზანულ რაზმებში.

* * *

საბჭოთა პატრიოტები სარეკორდო მოკლე ვადებში ასრულებენ ფრონტის შეკვეთებსა და მოთხოვნებს. რიაზანის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხანაში ამხ. ზახაროვის ბრიგადამ ორ დღე-ღამეზე ნაკლებ ხანს შეასრულა ერთი კვირისათვის ნავარაუდევი შეკვეთა. ტაგანროგის მანქანათმშენებელ ქარხანაში ამხ. ხლობუსტინისა და ზატულინის მემონტაჟეთა ბრიგადებმა, ნორმით გათვალისწინებული 55 საათის ნაცვლად 19 საათში გააკეთეს რამდენიმე დაზგის ელექტრომონტაჟი. ამის შემდეგ ამ ბრიგადებმა მალევე მთელი რიგი სხვა დაზგები 200 საათის ნაცვლად 74 საათში დაამონტაჟეს. ჩიმკენტის ერთი ქარხნის ამხ. ბაბენკოსა და სემიონოვის მექვაბეთა ბრიგადამ მნიშვნელოვანი დავალება 10 დღის ნაცვლად 4 დღეში შეასრულა.

ტულის ოლქის ერთერთი ქარხნის ოსტატის ამხ. მახანკოს ბრიგადამ 18 დღეში შეასრულა სამუშაო, რასაც ომამდე სულ ცოტა სამი თვე სჭირდებოდა. მეყალიბე ამხ. მაქსიუკი და სამსხმელო განყოფილების ოსტატი ამხ. ერასოვი გეგმასთან შედარებით 3-4-ჯერ უფრო სწრაფად ამზადებდნენ დეტალებს.

4 ოქტომბრის საღამოს ცნობა

4 ოქტომბრის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ მტერთან ბრძოლას მთელ ფრონტზე.

2 ოქტომბრის განმავლობაში საჰაერო ბრძოლების დროს ჩამოგდებულ იქნა მტრის 51 თვითმფრინავი და 2 აეროსტატი. ჩვენ 19 თვითმფრინავი დავკარგეთ.

მოსკოვის მისადგომებთან 3 ოქტომბერს ჩამოგდებულ იქნა გერმანიის 3 თვითმფრინავი და 4 ოქტომბერს 5 თვითმფრინავი.

ბარენცის ზღვაში ჩაძირულ იქნა მტრის 3 ტრანსპორტი.

* * *

შეუპოვარი ბრძოლების შედეგად, რაც რამდენიმე დღეს გრძელდებოდა, მეთაურ ხარიტონოვის ნაწილებმა დიდი ზარალი მიაყენეს რუმინეთის მე-8 საკავალერიო ბრიგადას და გერმანიის 399-ე ქვეითთ პოლკს. მტერს მოუკლეს და დაუჭრეს რამდენიმე ასეული ჯარისკაცი და ოფიცერი. მინდვრები და გზები, სადაც გააფთრებული ბრძოლები სწარმოებდა, მოფენილია მტრის დამსხვრეული ტანკებით, ავტომანქანებითა და ქვემეხებით. ჩვენმა ჯარის ნაწილებმა დავლად ხელთ იგდეს: 3 ტანკი, 20 ქვემეხი, 60-ზე მეტი ტყვიამფრქვევი, ბევრი ნაღმსატყორცნი, ავტომატები, მოტოციკლები და ავტომანქანები, 200 ათასამდე ვაზნა, რამდენიმე ათასი საარტილერიო ჭურვი, 500 შაშხანა და დიდი რაოდენობით სხვა სამხედრო ქონება. ნადავლის დათვლა გრძელდება.

* * *

ფრონტის დასავლეთის მიმართულების ერთერთ უბანზე ჩვენმა თვითმფრინავებმა მოსპეს გერმანიის ცხენოსანი ჯარის 2 ესკადრონი, ქვეითი ჯარის 2 ასეული, 64 ავტომანქანა და 25 ქვემეხი. საჰაერო ბრძოლებში ჩამოგდებულია მტრის 7 თვითმფრინავი და 2 აეროსტატი.

* * *

ქალაქ პოლტავის რაიონში გერმანელთა კოლონებზე იერიშის მიტანის დროს ჩვენმა თვითმფრინავებმა მოსპეს გერმანიის ქვეითი ჯარის ბატალიონი, 4 ტანკი და 44 ავტომანქანა. საჰაერო ბრძოლებში ჩამოგდებულია 4 თვითმფრინავი.

* * *

ქალაქ ხ-ის რაიონში ერთმა ჩვენმა ავიაჯგუფმა მოსპო მტრის 2 ასეული, 45 ავტომანქანა და 6 საარტილერიო ბატარეა.

* * *

ჰიტლერელი კაციჭამიები განაგრძობენ თარეშსა და მხეცობას მათ მიერ დაპყრობილ საბჭოთა რაიონებში. კიროვოგრადის ოლქის სოფლებში ღლინნოესა და ეკოვკაში ფაშისტებმა მოსახლეობას წაართვეს ყველა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები და საოჯახო ნივთები. მთლიანად განადგურებულია ჩერნიგოვის ოლქის ოსტერის რაიონის სოფლები ვიპოლზოვო და კორპილოვკა. ფაშისტი არამზადები ყველგან აწყობენ საყოველთაო ძარცვას და უმაგალითო სიმკაცრით უსწორდებიან უმწეო მშვიდობიან მცხოვრებლებს. კიევის ოლქის ჩერნობილის რაიონის სოფელ სლობოდკაში ფაშისტებმა კოლმეურნე ქალს ნიჩულკოს რძე მოსთხოვეს. ამაზე ამხ. ნიჩულკომ უპასუხა: „ძროხა უკვე წაიყვანეთ, რძეს საიდანღა გიშოვნით?" ამისათვის ფაშისტებმა კოლმეურნე ქალი ცემით სიკვდილის პირამდე მიიყვანეს, ხოლო შემდეგ სახლი დაუწვეს. დნეპროპეტროვსკის ოლქის ვერხნედნეპროვსკის რაიონის სოფელ ბარაბაევკაში ფაშისტებმა ყველა ქალი და ქალიშვილი გააუპატიურეს. სოფელ სერნიკში გერმანელთა მიერ გაგზავნილმა დამსჯელმა რაზმმა თავი მოუყარა კოლმეურნეთა დიდ ჯგუფს და სრულიად უმიზეზოდ დახვრიტა ტყვიამფრქვევებით.

* * *

ლენინგრადის ოლქის გერმანელების მიერ ოკუპირებულ რაიონებში მომქმედმა რამდენიმე პარტიზანულმა რაზმმა გერმანელ ფაშისტთა ჯარების წინააღმდეგ ბრძოლის ერთი თვის განმავლობაში მოსპო 106 გერმანელი ოფიცერი, მათ შორის 1 გენერალი, 1.810 ჯარისკაცი და გაანადგურა გერმანელთა ორი ნაწილის შტაბები. მამაცმა პარტიზანებმა მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენეს მტრის მატერიალურ ნაწილსაც. ფაშისტებთან ბრძოლებში მოსპეს მტრის 6 თვითმფრინავი, 2 ტანკი, 9 ჯავშნიანი მანქანა, 2 ტყვიამფრქვევი, ნაღმსატყორცნი, 207 სატვირთო ავტომანქანა, აქედან 35—სამხარი მასალებითა და 30—საწვავით დატვირთული, 16 მსუბუქი და შტაბის 6 ავტომანქანა, 58 მოტოციკლი, 70 ველოსიპედი, 2 მოტორიანი ნავი, ააფეთქეს სამხარი მასალების 4 საწყობი და დასწვეს 230 კასრი ბენზინი. მრავალ რკინიგზას და გზატკეცილს ხშირად თავს ესხმიან პარტიზანული რაზმები. უკანასკნელ დღეებში პარტიზანებმა ლიანდაგიდან გადააგდეს გერმანელთა 7 საკინიგზო შემადგენლობა და რამდენიმე დრეზინა, დაანგრიეს რკინიგზის 3 ხიდი და ექვს ადგილას აჰყარეს რკინიგზის ლიანდაგი. გზატკეცილებზე აფეთქებულია 30-ზე მეტი ხიდი. პარტიზანებმა ცეცხლი წაუკიდეს სურსათის 9 ბაზას და 22 შენობას, რომლებშიც დაბინავებული იყვნენ გერმანელი ჯარისკაცები, დააზიანეს მტრის სამხედრო ნაწილებს შორის სატელეფონო კავშირის 116 ხაზი.

* * *

გერმანელი ჯარისკაცები უფროდაუფრო ხშირად ღებულობენ წერილებს ნათესავებისა და ნაცნობებისაგან, რომლებშიც ისინი ჰგმობენ ომს სსრ კავშირის წინააღმდეგ. ქვემოთ მოგვყავს რამდენიმე ამონაწერი წერილებიდან, რომლებიც უპოვნეს მოკლულ გერმანელ ჯარისკაცებს. ჰერტრუდა შარლოტენბურგიდან იწერება: „ამ ქვეყნად არსებობს უსამართლობა: ზოგი ხელს ითბობს ომზე და მდიდრდება, სხვებმა კი მინდვრებზე ტალახში დღისით და ღამით უნდა იომონ, ჩაჰყარონ თავიანთი ძვლები და გასწირონ თავიანთი სიცოცხლე. გუშინ, 2 სექტემბერს, შტარკერმა მიამბო, რომ ჩვენმა დანაკლისმა აღმოსავლეთში უკვე მიაღწია 1.200.000 მოკლულამდე, დაჭრილი რამდენი ღა იქნება? ვერც კი წარმომიდგენია! ეს საშინელებაზე უარესია!". ჯარისკაც ვილჰელმ სუპერის ცოლი ეკითხება ქმარს: „მალე გათავდება ეს ომი? უკვე ყველა დაქანცულია და გულგატეხილი". ჯარისკაც ჰარტელ ფინიშის ცოლი აცნობებს ქმარს: „მე აღარ ვუსმენ ჩვენს ცნობებს, რომლებიც ბევრია ლაპარაკი რუსეთზე, რადგან ვიცი, რომ შენც იქა ხარ. ეს ცნობები ჩემთვის მხოლოდ მწუხარების წყაროა. პირდაპირ შიში გიპყრობს, როდესაც ფიქრობ აღმოსავლეთში წარმოებული ომის საშინელებებზე". ვერნერ ჰერლერტის ცოლიც თავის წერილში სწერს, რომ აღარა სჯერა გერმანიის რადიოს ყალბი ცნობებისა: „ჩემთვის სულ ერთია — სპეციალური ცნობა 10 იქნება თუ 12. სიმართლეს ვერასოდეს ვერ გავიგებ. გაწვდიან მხოლოდ იმას, რაც მათთვის ხელსაყრელია. ბევრი სისხლია დაღვრილი. აქ თითქმის ყოველღამეა საჰაერო თავდასხმები. ამას უკვე ვეღარ დაუმალავ მოსახლეობას".

(მიღებულია რადიოთი საქ-რადიოკომიტეტის მიერ).

ფართოდ გავშალოთ წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება

მივცეთ სამშობლოს მეტი ორთქლმავლები. ვაგონები. ელექტრომავლები

გუშინ, დილის შესვენებისას, სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის კოლექტივი მიტინგზე შეიკრიბა. ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის მოსკოვის საკისარის ქარხნის კოლექტივის წერილი წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ, მიტინგს გააცნო საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. ა. კვაჭაძემ.

სიტყვით გამოდის ორდენოსანი მექვაბე ამხ. მ. გეწაძე.

— სამშობლო ჩვენგან ახლა მოითხოვს განსაკუთრებულ თავდადებას. ფრიად მოსაწონია მოსკოველთა ინიციატივა. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ ვერაგი მტრის განადგურებისათვის. შევხვდეთ დიდი ოქტომბრის დღესასწაულს ომისა და შრომის ფრონტზე გამარჯვებით, სამშობლოს მივცეთ მეტი ორთქლმავლები, ვაგონები, ელექტრომავლები, რათა ყველაფრით უზრუნველვყოთ გმირული წითელი არმია. ჩემი ბრიგადა კისრულობს 300-პროცენტიანი მაჩვენებლით შეხვდეს დიად დღესასწაულს,—სთქვა ამხ. გეწაძემ.

საზარგო - სავაგონო საამქროს ცნობილი სტახანოველი ამხ. ი. მაჩაიძე ლაპარაკობს იმ დიდ მნიშვნელობაზე, რაც ტრანსპორტს ენიჭება ვერაგი მტრის განადგურების საქმეში.—ეს გვავალებს ტრანსპორტის მუშაკებს მეომრის თავდადებით ვიმუშაოთ შრომის ფრონტზე. ვკისრულობთ ჩვენ ბრიგადაში არ გვყავდეს არცერთი ჩამორჩენილი მუშა, ოქტომბრის გეგმა შევასრულოთ 300 პროცენტით,—სთქვა მან.

პატრიოტული სიტყვები წარმოსთქვეს და ახალი საწარმოო ვალდებულებანი იკისრეს ცნობილმა სტახანოველებმა ამხ. ს. ბაბაევმა, გ. ქსოვრელმა და სხვ.

მიტინგმა ერთხმად მიიღო რეზოლუცია, სადაც ნათქვამია, რომ ქარხნის კოლექტივი იწონებს მოსკოველთა შესანიშნავ ინიციატივას, ებმება წინასაოქტომბრო შეჯიბრებაში და კისრულობს ვადამდე შეასრულოს მეოთხე კვარტალის დავალება, მომჭირნეობით ხარჯოს ლითონი, საწვავი, ელექტროენერგია, მაქსიმალურად გამოიყენოს ადგილობრივი რესურსები, შეამციროს წუნი, პროდუქციის თვითღირებულება, გაზარდოს ორასოვანთა, პროფესიების შემთავსებელთა და რაციონალიზატორთა რიგები, სამშობლოს, ფრონტს მისცეს მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქცია.

ომიანობის დროის შესაფერი შრომის ნაყოფიერებისათვის

გუშინ ლ. პ. ბერიას სახელობის თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკაში შესდგა მუშათა, მუშა ქალთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა მიტინგი, რომელზეც სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის სახელობის რაიკომის მდივანი ამხ. ვ. სიხარულიძე. მან მიტინგის მონაწილეთ გააცნო ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის მოსკოვის საკისარის ქარხნის კოლექტივის მოწოდება წინასაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმის შესახებ და მოუწოდა ფაბრიკის კოლექტივს ჩაებას ამ შეჯიბრებაში მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის, ომიანობის დროის შესაფერი შრომის ნაყოფიერებისათვის.

მიტინგზე გამოსულმა ფაბრიკის მესამე კორპუსის ცვლის უფროსმა ამხ. შ. ლაჩქებიანმა განაცხადა, რომ ფაშისტ ყაჩაღებს უნდათ წაგვართვან ის, რაც საკუთარი ხელით წლობით გვიშენებია, ის, რასაც ჩვენ შევხარით. მაგრამ ამას ისინი ვერ მოესწრებიან. წინასაოქტომბრო შეჯიბრების ფართოდ გაშლა კიდევ ერთი ლახვარი იქნება გერმანელი ფაშისტი არამზადებისათვის. ჩვენი კორპუსის კოლექტივი კისრულობს ორი დღით ადრე შეასრულოს ოქტომბრის საწარმოო გეგმა, მოაწყოს ტექსწავლების ხუთი წრე, დაზოგოს 5.000 მანეთის ფურნიტურა და სხვ.

საშტამპო საამქროს სტახანოველმა ქალმა ამხ. ერემენკომ, პირველი კორპუსის სტახანოველმა ნ. ლაპუშკოვამ და საგამომჭრელო საამქროს სტახანოველმა ე. ბარაკოვამ ილაპარაკეს საწარმოო ვალდებულებებზე, რომლებსაც მათი კორპუსი და საამქროები კისრულობენ წინასაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმით.

მიტინგზე ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში ჩამოთვლილია ფაბრიკის კოლექტივის მიერ წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი: მეოთხე კვარტალის საწარმოო დავალებების გეგმა შესრულდეს 24 დეკემბრისათვის, ხოლო ფაბრიკის მთელი საწარმოო გეგმა—27 დეკემბრისათვის. გამოუშვას პროდუქცია სადღეღამისო გრაფიკისა და მტკიცე საგეგმო ასორტიმენტის მიხედვით, შრომის ნაყოფიერების ზრდის მეოთხე კვარტალის გეგმა შეასრულოს 5 პროცენტის გადაჭარბებით, მიაღწიოს საპირე ტყავის 1,5 პროცენტის და საძირე ტყავის 1 პროცენტის ეკონომიას, ხოლო ფურნიტურის ხარჯვაში 25.000 მანეთის ეკონომიას, აამაღლოს წარმოებაში ახლად მიღებული მუშების კვალიფიკაცია და სხვ.

წლიურ გეგმას 11 თვეში შევასრულებთ

ლანჩხუთი („კომუნისტის" კორ.). ლანჩხუთის რაიონში ფართოდ იშლება წინასაოქტომბრო შეჯიბრება. 3 ოქტომბერს ლანჩხუთის სააბჯრო ფაბრიკის და ტრიკოტაჟის წარმოების მუშა-მოსამსახურენი გაეცნენ ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის მოსკოვის საკისარის ქარხნის კოლექტივის წერილს.

სააბჯრო საამქროს უფროსმა ამხ. ა. ჩხაიძემ ვალდებულება აიღო ოქტომბრის გეგმა 130 პროცენტით შეასრულოს, ხოლო წლიური გეგმის შესრულება 30 ნოემბრისათვის დაამთავროს.

ტრიკოტაჟის წარმოების უფროსმა ამხ. ლიზა კუბულაძემ სთქვა: ტრიკოტაჟის წარმოება 15 დღით ადრე შეასრულებს წლიურ გეგმას, ფრონტს მისცემს მაღალხარისხოვან პროდუქციას. ახალი საწარმოო ვალდებულებები იკისრეს აგრეთვე ამხ. ელ. სიხარულიძემ, ვ. ჯორბენაძემ, ალ. ხუხუნაიშვილმა და სხვ.

ვ. მექვაბიშვილი

გეგმას ვადამდე შევასრულებთ

გუშინ, დღის 12 საათზე, ქარხნის ეზოში თავი მოიყარეს ს. მ. კიროვის სახელობის თბილისის დაზგათმშენებელი ქარხნის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა. მიტინგზე, რომელიც ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის მოსკოვის პირველი სახელმწიფო საკისარის ქარხნის კოლექტივის მოწოდებისადმი იყო მიძღვნილი, მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი მრეწველობისა და ტრანსპორტის დარგში ამხ. გ. გოჩაშვილი, რომელმაც დამსწრეთ გააცნო მოსკოველთა მოწოდება—დაწყებულ იქნას წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება.

ამ მოწოდებას ქარხნის კოლექტივი ერთსულოვანი მოწონებით შეხვდა, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა მიტინგზე გამოსულ მუშა-ორატორების სიტყვებში.

პირველი სიტყვით გამოვიდა ქარხნის საგეგმო-საწარმოო განყოფილების უფროსი ამხ. ლ. ტუზოვი, რომელმაც ილაპარაკა იმ წარმატებებზე, რომლებსაც აღწევს ქარხანა უკანასკნელ ხანებში. მე-2 და მე-3 კვარტალის გეგმები მთლიანად შესრულდა.

— მოსკოველი ამხანაგების მოწოდების პასუხად—სთქვა ამხ. ტუზოვმა,—ქარხანა ებმება წინასაოქტომბრო შეჯიბრებაში და კისრულობს ვალდებულებას — წლიური დავალება 25 დეკემბრისათვის შეასრულოს. საგეგმო-საწარმოო განყოფილება კისრულობს ყოველმხრივ დაეხმაროს ქარხანას აღებული ვალდებულების პირნათლად და წარმატებით შესრულებაში.

შემდეგ სიტყვით გამოდის მექანიკური საამქროს სტახანოველი, ორასოვანი მუშა ამხ. ნ. პერეგუდოვი, რომელიც ორასოვანთა სახელით პირობას იძლევა, რომ აქტიური დახმარებით დანარჩენ მუშებსაც ორასოვნებს გახდიან.

— საიარაღო საამქროს კოლექტივი, — ამბობს სტახანოველი ხარატი ამხ. მ. ბადრაკოვი,—პირობას იძლევა მიცემული გეგმა 200 პროცენტით შეასრულოს.

სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე ამწყობი საამქროს უფროსი ამხ. გ. ვაწაძე და ქარხნის პარტბიუროს მდივანი ამხ. პ. ცაგარეიშვილი.

მიტინგზე მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომლის თანახმად ქარხანა, ებმება რა წინასაოქტომბრო შეჯიბრებაში, კისრულობს ვალდებულებას შეამციროს პროდუქციის თვითღირებულება ოქტომბერში 3 პროცენტით გეგმის გადამეტებით, შეამციროს წუნით გამოწვეული ზარალი არანაკლებ 20 პროცენტისა, გადააჭარბოს ოქტომბრის დავალებას შრომის ნაყოფიერების დარგში 11 პროცენტით, გაზარდოს ორასოვანთა და რამდენიმე პროფესიის მცოდნე მუშათა რიცხვი, შეამციროს სხვა ქარხნებიდან საჭირო მასალების შემოზიდვა მათი წარმოების ადგილობრივად ათვისებით და სხვ.

გერმანელთა კიდევ ერთი ოპერაციის ჩაშლა მურმანსკის მიმართულებით

ჩრდილოეთ - დასავლეთი მიმართულება, 3 ოქტომბერი (საკდესი). მურმანსკის რაიონში მტერმა მოახერხა ორი პოლკით გადმოელახა მდინარე ლიცა და გამაგრებულიყო მის აღმოსავლეთ ნაპირზე. გერმანელ ფაშისტებს განზრახვა ჰქონდათ აქედან დაეწყოთ შემოტევა ქალაქ მურმანსკზე.

№ ნაწილს დავალება მიეცა მძლავრი დარტყმით გაენადგურებინა მტრის პოლკები. წითელი არმიის ქვეგანაყოფებმა რკალში მოიმწყვდიეს მოწინააღმდეგე და გამანადგურებელი ლახვარი ჩასცეს მას. ყოველი მხრიდან გარშემორტყმულს, მდინარეზე მოწყვეტილ მტერს დიდი ზარალი მოუვიდოდა. საბჭოთა არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ძლიერმა ცეცხლმა, და თოფ-ტყვიამფრქვევების სროლამ აიძულეს გერმანელ ფაშისტთა ჯარები დაეტოვებინათ მათ მიერ გამაგრებული მიჯნები და გადასასვლელისაკენ დაეხიათ. ასობით გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი დაიღრჩო, სხვები საბჭოთა მსროლელების მარჯვე სროლით დაიღუპნენ.

ამ ოპერაციის დროს გერმანელთა 138-ე და 139-ე სამთო ეგერთა პოლკებს უდიდესი ზარალი მოუვიდათ. 139-ე პოლკი თითქმის მთლიანად მოსპობილია. მისი შტაბი განადგურებულია. ჩვენ ხელთ ჩაგვივარდა გერმანელთა სარდლობის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საიდუმლო დოკუმენტები.

მტერს მოვუკალით 1.500-ზე მეტი კაცი და დავუჭერით რამდენიმე ათასი კაცი. ჩვენი ჯარის ნაწილებმა მდინარე ლიცის აღმოსავლეთი ნაპირი მთლიანად გასწმინდეს ფაშისტებისაგან. ხელთ ვიგდეთ დიდი ნადავლი.

ბარანიკოვი

უკანასკნელი ცნობები

გერმანია-ბულგარეთის სამხედრო ხროვის თავხედური პროვოკაცია

ნიუ-იორკი, 3 ოქტომბერი (საკდესი). რადიოგადამცემი კომპანიის „ნეიშენლ ბროდკასტინგ კომპანის" ცნობილი კორესპონდენტი ავრონსკი ანკარიდან იტყობინება: „შესაძლებელია იმის ახსნა, თუ ვინ იმალება „რუს პარაშუტისტების" სახელით ბულგარეთში. როგორც სოფიაში გადმოსცეს, ეს ეგრეთწოდებული რუსი პარაშუტისტები ნამდვილად რუსი სამხედრო ტყვეები იყვნენ. ისინი რუმინეთისა და გერმანიის თვითმფრინავებზე დასხეს და აიძულეს პარაშუტით გადმომხტარიყვნენ ბულგარეთის ტერიტორიაზე. ეს იმისათვის მოაწყეს, რომ ანტისაბჭოთა განწყობილება შეექმნათ მოსახლეობაში და საბაბი მიეცათ ბულგარეთის მთავრობისათვის გამოეცხადებინა ომი საბჭოთა კავშირისათვის. ამ მხრით ბულგარეთზე გერმანიის ზემოქმედება არ სუსტდება".

დომეი ცუსინის სააგენტო უნგრეთის ზარალის შესახებ

ტოკიო, 4 ოქტომბერი (საკდესი). დომეი ცუსინის სააგენტო იტყობინება, რომ უნგრეთის ჯარმა, რომელიც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომობს, თავისი შემადგენლობის 40-მდე პროცენტი დაკარგა.

იაპონიის სააგენტო ანტონესკუს გადადგომის შესახებ

ტოკიო, 4 ოქტომბერი (საკდესი). დომეი ცუსინის სააგენტო იუწყება, რომ ანტონესკუმ უარი სთქვა საბჭოთა ფრონტზე ჯარების სარდლისა და რუმინეთის პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე. ანტონესკუს მოქმედებას იმით ხსნიან, რომ რუმინეთში ფართოდ ვრცელდება ომით გამოწვეული უკმაყოფილება.

გერმანელთა სათადარიგო ბატალიონის ჯარისკაცის წერილი

ჩრდილოეთ - დასავლეთი მიმართულება, 3 ოქტომბერი (საკდესი.) მოკლული გერმანელი ჯარისკაცის ერნესტ კლაინის ჯიბეში აღმოჩნდა მისი ძმის, სათადარიგო ბატალიონის ჯარისკაცის, ტრირელი ერიხის წერილი.

„მეც გამიწვიეს, — სწერს ერიხ კლაინი. — ვიმყოფები სათადარიგო ბატალიონში. სამსახური მეტად მძიმეა, ძალიან კმაყოფილი ვიქნებოდი, თუნდაც ღამით რომ შემეძლოს დაძინება. უკვე 8 დღეა, რაც სარდაფებში ვიმყოფებით, მტრის თვითმფრინავებს ვემალებით. ჩვენი ბატალიონის პირველ ასეულში 59 კაცი 1908 - 1910 წლებშია დაბადებული. დანარჩენი ჯარისკაცები ახალგაზრდები არიან, რომლებიც ორი წლის შემდეგ უნდა გაეწვიათ. უნდა აღვიარო — აქ იმდენი განვიცადე და შევიტყე, რომ სჯობია თავი ჩამოიღრჩო, ვიდრე ასეთ პირობებში იცხოვრო. ჩვენს ცხოვრებაზე უარესი არაფერი არ იქნება. შენი ძმა ერიხი".

მიესალმებიან სამი დიდი სახელმწიფოს მოსკოვის კონფერენციის გადაწყვეტილებებს

თავისუფლებისმოყვარულ ხალხთა უძლეველი ფრონტი

თბილისის დეპოს მუშებში დიდი გამოხმაურება ჰპოვა სამი დიდი სახელმწიფოს: სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა მოსკოვში ჩატარებული კონფერენციის შედეგებმა. ყველა საამქროში ჩატარდა საუბრები, მიძღვნილი კონფერენციის შედეგებისადმი.

4 ოქტომბერს დღის პირველ საათზე კლუბის დარბაზი გაივსო საორთქლმავლო ბრიგადის მუშებით. სამი სახელმწიფოს წარმომადგენელთა კონფერენციის შედეგების შესახებ საუბარი ჩაატარა მოწინავე აგიტატორმა ამხ. ნ. ბერგმა. აგიტატორი ვრცლად ესაუბრა მუშებს ამ კონფერენციის უდიდეს ისტორიულ მნიშვნელობაზე.

— ამერიკისა და დიდი ბრიტანეთის მეგობრული დახმარება, — ამბობს საქვაბე საამქროს აგიტატორი ამხ. ხიზანიშვილი, — იმის საწინდარია, რომ პირსისხლიანი ფაშიზმი მალე იქნება განადგურებული სამი უდიდესი ქვეყნის გაერთიანებული ძალების მძლავრი დარტყმით.

მუშები ერთსულოვნად იწონებენ კონფერენციის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

ხალხთა ერთიანი ფრონტი გაანადგურებს პირსისხლიან ფაშიზმს

თბილისის მოლოტოვის სახ. ავეჯეულობის ფაბრიკის მუშები დიდი ინტერესით გაეცნენ სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა მოსკოვში ჩატარებული კონფერენციის მუშაობის შედეგებს.

სამი ქვეყნის წარმომადგენელთა კონფერენციის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარება, — სთქვა ინჟ. გ. ფირაძემ,—დააჩქარებს პირსისხლიანი ფაშიზმის განადგურებას. მალე დადგება დრო, როცა თავისუფლების მოყვარე ხალხების ერთიანი ფრონტი საბოლოო ლახვარს ჩასცემს ჰიტლერიზმს.

ელექტრომონტიორმა ამხ. კიწურაშვილმა განაცხადა: საბჭოთა კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა კონფერენციამ, რომლის მუშაობაშიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა ამხანაგი სტალინი, ძიიღო გადაწყვეტილება, რომ ერთიანი ფრონტით ვიბრძოლოთ ჰიტლერიზმის წინააღმდეგ. სამი ქვეყნის ურთიერთთანამშრომლობა და მეგობრობა დააჩქარებს ვერაგ მტერზე გამარჯვებას.

— საბჭოთა კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხალხები ერთიანი ფრონტით გაანადგურებენ კაცობრიობის უსაშინელეს მტერს ჰიტლერიზმს,—სთქვა ამწყობი საამქროს უფროსმა ამხ. ზ. კოჩუაშვილმა.

Ა. Ს. ᲨᲩᲔᲠᲑᲐᲙᲝᲕᲘ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲑᲘᲣᲠᲝᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ

ᲰᲘᲢᲚᲔᲠᲘ ᲐᲢᲧᲣᲔᲑᲡ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚ ᲮᲐᲚᲮᲡ

3 ოქტომბერს ჰიტლერი გამოვიდა სიტყვით, რომელიც რადიოთი იქნა გადაცემული. თავისი გამოსვლის საბაბად ჰიტლერმა აირჩია „საზამთრო დახმარების" კამპანია. მაგრამ ცნობილია, რომ „საზამთრო დახმარების" კამპანია გერმანიაში მიმდინარე წელს ერთი თვის წინათ დაიწყო და ჰიტლერმა ამის შესახებ უკვე რამდენიმე კვირის წინათ გამოაქვეყნა მიმართვა მოსახლეობისადმი. ამრიგად, ჰიტლერის გამოსვლა სრულებითაც არ არის დაკავშირებული „საზამთრო დახმარების" კამპანიასთან.

მაშ რა არის ნამდვილი მოტივები, რამაც ჰიტლერი აიძულა გამოსულიყო გერმანიის მოსახლეობის წინაშე?

უდიდესი ზარალი, რაც აღმოსავლეთის ფრონტზე გერმანელ ფაშისტთა არმიას მოსდის, გერმანიის მოსახლეობაში სერიოზულ შეშფოთებას და ომისა და ძალმომრეობის ჰიტლერული პოლიტიკით უკმაყოფილებას იწვევს. გერმანიის მოსახლეობას არა სჯერა ფაშისტური ტყუილები „გერმანიის არმიის უმაგალითო გამარჯვებათა შესახებ" და უფრო-დაუფრო მეტად ჰკარგავს თავის რწმენას, თუ როგორი ბოლო ექნება ომს.

ჰიტლერს აშინებს საკუთარი ზურგის მდგომარეობა—აი ნამდვილი მიზეზი, რამაც იგი აიძულა 1941 წლის 3 ოქტომბერს რადიოთი მიემართა გერმანიის მოსახლეობისათვის და მიერთმია ახალი ულუფა სწრაფ გამარჯვებათა დაპირებებისა და აღთქმებისა, რომლებიც იმდენადვე მკვეხარაა, რამდენადაც ყალბი. ჰიტლერის გამოსვლას, რომელიც საშინაო მოხმარებისათვის იყო გათვალისწინებული, ამოცანად ჰქონდა არა მარტო ის, რომ დაემშვიდებინა გერმანელები, არამედ აგრეთვე როგორღაც გაემართლებინა მოსახლეობის წინაშე თავისი იმპერიალისტური მტაცებლური პოლიტიკა.

როგორც ცნობილია, ჰიტლერი მხილებულ იქნა მთელი მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის მიერ, რომ იგი არის პირწავარდნილი აგრესორი სსრ კავშირის მიმართ, რომ მან ცალმხრივად დაარღვია სსრ კავშირთან დადებული თავდაუსხმელობის ხელშეკრულება და სსრ კავშირის მხრივ ყოველგვარი საბაბის გარეშე, რაიმე პრეტენზიის წარუდგენლად, ომის გამოუცხადებლად თავს დაესხა სსრ კავშირს, რითაც ერთხელ კიდევ ცხადჰყო, რომ იგი არის იმპერიალისტი, სხვისი მიწა-წყლის მტაცებელი. ახლა ჰიტლერი, და ეს უკვე პირველად არ არის, ცდილობს თავი დაიძვრინოს და დაფაროს თავისი ყაჩაღური პოლიტიკა.

ჰიტლერი თავის სიტყვაში ირწმუნება, რომ იგი თავს არ დასხმია სსრ კავშირს, არამედ მხოლოდ დაასწრო გერმანიაზე სსრ კავშირის თავდასხმას. იგი ირწმუნება, რომ ასეთი მოქცევით იგი აწარმოებს თავდაცვითს ომს და ევროპას იცავს სსრ კავშირისაგან. მაგრამ იგი ამასვე ამბობდა, როდესაც იპყრობდა ბელგიას, ჰოლანდიას, ნორვეგიას, პოლონეთს, საბერძნეთს, იუგოსლავიას, და ირწმუნებოდა, რომ ეს ქვეყნები ევროპისათვის საშიშროებას და გერმანიაზე თავდასხმის ასპარეზს წარმოადგენენო. და თუ სასაცილოა ჰიტლერის დასახვა ისე, თითქოს იგი თავდამცველი მხარე იყოს საბერძნეთის, იუგოსლავიის, პოლონეთის და სხვ. მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყნებს კავშირი ჰქონდათ ინგლისთან, მით უფრო სასაცილო და უაზროა ლაპარაკი სსრ კავშირზე, როგორც ისეთ ქვეყანაზე, რომელიც ემუქრებოდა გერმანიას, თუნდაც იმიტომ, რომ სსრ კავშირს არა ჰქონია დადებული კავშირი გერმანიასთან ომის მდგომარეობაში მყოფ რომელიმე სახელმწიფოსთან, არამედ, პირიქით, საბჭოთა კავშირს გერმანიასთან დადებული ჰქონდა ხელშეკრულება თავდაუსხმელობის შესახებ, ხელშეკრულება, რომლის კეთილ შედეგებსაც იგივე ჰიტლერი და რიბენტროპი ხოტბას ასხამდნენ ოფიციალურ განცხადებებში. განა ფაქტი არ არის, რომ საბჭოთა ჯარები კი არ შეიჭრნენ გერმანიაში, არამედ გერმანიის ჯარები შემოიჭრნენ სსრ კავშირში. რა შეუძლია დაუპირდაპიროს ამ ფაქტს ცნობილმა ჟონგლიორმა და პროფესიულმა მატყუარამ ეგრეთწოდებულმა ჰიტლერმა?

ჰიტლერი ცრუობს, და მერამდენეჯერ, როდესაც აცხადებს, რომ მოლოტოვი ბერლინში წარმოებული მოლაპარაკების დროს მოითხოვდა სრუტეებს, ფინეთის დამორჩილებას, ბულგარეთში შეჭრას, რის წინააღმდეგაც ჰიტლერს თითქოს პროტესტი განუცხადებია. ეს სიცრუე რამდენჯერმე ოფიციალურად იყო უარყოფილი საბჭოთა კავშირის მხრივ. თუმცა რა საჭიროა უარყოფა? ჰიტლერმა თვითონაც კარგად იცის, რომ ცრუობს და საზოგადოებრივ აზრს ატყუებს. მაშ რით უნდა აიხსნას, რომ ბერლინში მოლოტოვის ყოფნის შემდეგ გერმანიამ და სსრ კავშირმა გამოაქვეყნეს საერთო კომუნიკე იმის შესახებ, რომ აზრთა გაცვლა-გამოცვლა სწარმოებდა ურთიერთნდობის ატმოსფეროში და რომ მან ცხადჰყო ურთიერთგაგება ყველა მნიშვნელოვან საკითხში, რაც სსრ კავშირსა და გერმანიას აინტერესებთ. განა ფაქტი არ არის, რომ საერთო კომუნიკე გამოქვეყნებულ იქნა ჰიტლერის სრული თანხმობით?

ცუდად ყოფილა ჰიტლერის საქმე, თუ იგი ფიქრობს, რომ ევროპისა და მთელი მსოფლიოს საზოგადოებრივ აზრს დავიწყებია ეს და ამგვარი ფაქტები, რომლებიც ჰიტლერს ამხილებენ როგორც პროფესიულ მატყუარას.

ჰიტლერი ცდილობს მოატყუოს საზოგადოებრივი აზრი არა მარტო თავისი იმპერიალისტური მტაცებლური პოლიტიკის მხრივ, ამას იგი ცდილობს ახლანდელ ომში გერმანიისა და სსრ კავშირის დანაკლისის საკითხშიც. ჰიტლერი თავის სიტყვაში იძულებული გახდა ეღიარებინა მწარე ფაქტი: „ჩვენ შევცდით იმ საკითხში, თუ რა ძალას წარმოადგენს ჩვენი მოწინააღმდეგე". ამ იძულებითი აღიარების შემდეგ ჰიტლერს მოჰყავს ფანტასტიკური ნაბოდვარი ციფრები წითელი არმიის დანაკლისის შესახებ. მისი რწმუნებით, წითელმა არმიამ თითქოს დაკარგა 2.500.000 კაცი მოკლულთა სახით, 22.000 ქვემეხი, 18.000 ტანკი და 14.000 თვითმფრინავი. ამ ციფრების სრული სიყალბე ცხადია. ნამდვილად წითელმა არმიამ განვლილ პერიოდში დაკარგა მოკლულთა სახით 230.000 კაცი, დაჭრილი—720.000 კაცი, უგზოუკვლოდ დაკარგული — 178.000 კაცი, სულ 1.128.000 კაცი, 7.000-მდე ტანკი, 8.900 ქვემეხი და 5.316 თვითმფრინავი.

ჰიტლერმა არაფერი სთქვა გერმანიის არმიის დანაკლისზე. ვილამ უნდა იცოდეს, თუ არ გერმანელებმა, საკუთარი არმიის დანაკლისის შესახებ? მაშ ჰიტლერმა გერმანელ ხალხს—მუშებს, გლეხებს, ინტელიგენციას რატომ არ დაუსახელა არცერთი ციფრი გერმანიის არმიის დანაკლისის შესახებ? იმიტომ, რომ ჰიტლერს ეშინია სიმართლე უთხრას გერმანელ ხალხს, ეშინია დაასახელოს ამ დანაკლისის ციფრები, ვინაიდან ისინი იმდენად დიდია, რომ მათი დასახელებით ქვა-ქვაზე აღარ დარჩებოდა გამარჯვებათა შესახებ ჰიტლერის ყალბი და მკვეხარა განცხადებებისაგან. ისე, როგორც ჰიტლერი იქცევა, იქცევიან პოლიტიკური შულერები და თაღლითები.

რამდენადაც ჰიტლერი გერმანიის მოსახლეობას და მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს უმალავს გერმანიის არმიის დანაკლისს საბჭოთა კავშირთან სამ თვეზე მეტი ხნის მანძილზე წარმოებულ ომში, საბჭოთა საინფორმაციო ბიურო იუწყება:

განვლილ პერიოდში გერმანელ ფაშისტთა ჯარებმა აღმოსავლეთის ფრონტზე მოკლულთა, დაჭრილთა და ტყვედ ჩავარდნილთა სახით დაკარგეს 3.000.000-ზე მეტი კაცი, ესე იგი იმდენი, რამდენიც გერმანელებმა დაახლოებით დაკარგეს წარსულ მსოფლიო ომში ყველა ფრონტზე ორი წლის საბრძოლო მოქმედებათა განმავლობაში. არანაკლებ მძიმეა გერმანელთა დანაკლისი შეიარაღების მხრივაც. სამ თვეზე მეტი ხნის მანძილზე წარმოებულ ომში გერმანელებმა დაკარგეს 11.000-ზე მეტი ტანკი, 13.000 ქვემეხი, 9.000 თვითმფრინავი, რომლებიც ჩვენმა ავიაციამ საჰაერო ბრძოლებში ჩამოაგდო და აეროდრომებზე მოსპო, თუ არ ჩავთვლით აფრენა-დაშვების დროს დაკარგულ თვითმფრინავებს. ასეთია ფაქტები.

(მიღებულია რადიოთი საქ. რადიოკომიტეტის მიერ).

საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲨᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲙᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ, ᲨᲔᲜᲐᲮᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲐᲠᲯᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1941 წლის 3 ოქტომბრის დადგენილებით:

1. საქართველოს ალკკ საოლქო და რაიონულ კომიტეტებს წინადადება მიეცათ მიმდინარე წლის 6 ოქტომბრიდან 20 ოქტომბრამდე ჩაატარონ კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობისათვის საკვების დამზადების, შენახვისა და ხარჯვის შემოწმების ორკვირეული.

2. შემოწმებაში, გარდა კომკავშირელებისა, ფართოდ იქნან გამოყენებული მეცხოველეობის საქმის მცოდნე მოხუცი კოლმეურნეები და კომკავშირგარეშე ახალგაზრდები.

3. ორკვირეულის მიზანია საზოგადოებრივი მეცხოველეობისათვის საკვების დამზადების, შენახვისა და მისი ხარჯვის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა გამოაშკარავება და მათი უსწრაფესი გამოსწორება. კომკავშირული ორგანიზაციები მოვალენი არიან დაეხმარონ კოლმეურნეობებს საზოგადოებრივი მეცხოველეობისათვის საკვების დამზადების გეგმის გადამეტებით შესრულებაში.

4. საოლქო და რაიონულ კომიტეტებს წინადადება მიეცათ ორკვირეულის შედეგები აცნობონ საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს 22 ოქტომბრისათვის.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ, ᲓᲘᲓᲘ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲗᲐ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲒᲐᲛᲝ

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 3 ოქტომბერი (საკდესი). სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა კონფერენციის შედეგები ინგლისის გაზეთების ყურადღების ცენტრშია მოქცეული. გუშინ, საღამოს გაზეთებმა მთლიანად გამოაქვეყნეს ამხანაგ მოლოტოვის გამოსვლა კონფერენციაზე.

გაზეთმა „ივნინგ სტანდარტმა" ეს გამოსვლა გამოაქვეყნა სათაურით „ჩაიშალა ჰიტლერის გეგმა ცალცალკე დაემარცხებინა მოწინააღმდეგენი. ინგლისის, რუსეთისა და შეერთებული შტატების თანამშრომლობა გადამწყვეტი იქნება". გაზეთმა „ივნინგ ნიუსმა" ცნობა ამხანაგ მოლოტოვის გამოსვლის შესახებ შემდეგი სათაურით მოათავსა: „მოლოტოვმა სიტყვა მისცა კონფერენციას, რომ ბრძოლა ბოლომდე გაგრძელდება. სამი სახელმწიფო დაამარცხებს ჰიტლერს".

დღეს დილის გაზეთებმა კონფერენციის გადაწყვეტილებებს უძღვნეს მოწინავე სტატიები, აგრეთვე თავის დიპლომატიურ მიმომხილველთა სტატიები.

გაზეთ „ნიუს ქრონიკლის" დიპლომატიური მიმომხილველი კამინგსი სწერს, რომ მოსკოვის კონფერენციამ მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ერთობლივ მოქმედებას. გარდა ამისა, კონფერენციაზე მიღწეულ იქნა ფართო ხასიათის ახალი ურთიერთგაგება.

გაზეთი „მანჩესტერ გარდიანი" აღნიშნავს კონფერენციის მუშაობის სწრაფად დამთავრებას. რუსეთს ურყევად აქვს გადაწყვეტილი, სწერს გაზეთი, ბოლომდე იბრძოლოს ჰიტლერის გერმანიის წინააღმდეგ. რუსეთმა იცის, რომ ეს ეხება ინგლისსაც და შეერთებულ შტატებსაც.

გაზეთი „ტაიმსი" აცხადებს, რომ ახლა პირველი რიგის ამოცანაა მიღწეული შედეგების სწრაფი რეალიზაცია. გაზეთი აღნიშნავს, რომ დიდი სახელმწიფოების მჭიდრო კავშირი, მიმართული ნაციზმის წინააღმდეგ, შეუძლებლად ხდის იმას, რომ ჰიტლერმა შემდეგში გამოიყენოს თავისი ვერაგული მეთოდები — მოწინააღმდეგეებზე ცალცალკე თავდასხმა.

„ტაიმსის" დიპლომატიური მიმომხილველის სიტყვით, სამი სახელმწიფოს მოსკოვის კონფერენციამ შეჰქმნა გეგმა ომის ძლევამოსილად დამთავრებისა აღმოსავლეთის ფრონტის განმტკიცების გზით და ამასთან გერმანიაზე სხვადასხვა მხრიდან იერიშის მიტანის საშუალებით.

გაზეთი „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი" სწერს, რომ მოსკოვის კონფერენცია ისტორიაში შევა როგორც დიდმნიშვნელოვანი მოვლენა.

მან შეიმუშავა სამხედრო გეგმები სახელმწიფოთა ყველაზე მძლავრი კოალიციისა, როგორიც კი ოდესმე შექმნილა ერთობლივი მოქმედებისათვის.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 3 ოქტომბერი (საკდესი). ამერიკის პრესა დიდ ყურადღებას აქცევს იმ პრობლემებს, რომლებიც სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა კონფერენციის განხილვის საგანს წარმოადგენდნენ. გაზეთ „ჩიკაგო დეილი ნიუსის" მოსკოველი კორესპონდენტი სტილი ხაზს უსვამს კონფერენციის მუშაობის არაჩვეულებრივად სწრაფ ტემპებს. იგი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის პოზიცია ცხადჰყოფს სსრ კავშირის გადაწყვეტილებას აწარმოოს, თუ საჭიროება მოითხოვს, ხანგრძლივი ომი. სტილი აღნიშნავს მოსკოვის კონფერენციის მიერ მიღწეული თანამშრომლობის ორმხრივს ხასიათს.

ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი სსრ კავშირს მიაწვდიან დიდძალ მასალას. რუსეთი მზად არის მოამარაგოს თავისი დემოკრატიული მეგობრები ზოგიერთი სახის ნედლეულით, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ინგლის-ამერიკის თავდაცვისათვის. მატერიალური თანამშრომლობის გაძლიერების გარდა, კონფერენცია ახალ სტიმულს აძლევს პოლიტიკური ურთიერთობის განვითარებას რუსეთსა, ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის.

გაზეთ „ნიუ-იორკ უორლდ ტელეგრამის" ვაშინგტონელი კორესპონდენტი კლეპერი სწერს, რომ რუსეთის წინააღმდეგობამ ჰიტლერის გერმანიის მიმართ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ავტორი აღნიშნავს, რომ ომი ხანგრძლივი იქნება და მისი შედეგი დიდ გავლენას მოახდენს ამერიკის წარმოების განვითარებაზე. ამერიკის მრეწველობის წინაშე დასმული ამოცანები დიდია, მაგრამ დრო გერმანიის წინააღმდეგ მუშაობს. საკმაო დრო არის იმისათვის, რომ ამერიკის წარმოების როლი კიდევ უფრო ეფექტური გახდეს.

ყოველკვირეული ბიულეტენი „ფორეინ კორესპონდენსი" აღნიშნავს, რომ ვაშინგტონის საზოგადოებრივი აზრი ერთსულოვნად აღიარებს რუსეთისათვის მაქსიმალური დახმარების აღმოჩენის საჭიროებას. ბიულეტენი აღნიშნავს, რომ ამერიკიდან რუსეთისათვის დახმარების აღმოჩენის საკითხი პრაქტიკულ ნიადაგზეა დაყენებული.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲐ ᲘᲫᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲐᲦᲘᲐᲠᲝᲡ

ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘ, 3 ოქტომბერი (საკდესი). გერმანული პრესა, ეძებს რა აღმოსავლეთის ფრონტზე განცდილი უდიდესი დანაკლისის გასამართლებელ მიზეზებს, ძალაუნებურად საინტერესო რამეებს აღიარებს. გერმანული გაზეთები სულ უფრო-დაუფრო უჩივიან გაზრდილ სიძნელეებს. „ჩვენს წინსვლას,—სწერს გაზეთ „კელნიშე ცაიტუნგის" სამხედრო კორესპონდენტი, — მხოლოდ მაშინ აქვს წარმატება, როცა ქვეითი ჯარი თავის დროზე მიდის დანიშნულ ადგილზე. მაგრამ დიდი მანძილი, დანგრეული გზები, რომლებიც ამასთან სრულიადაც არ არის უშიშარი, რომ აღარ ვილაპარაკოთ სხვა ნგრევაზე, რასაც მოწინააღმდეგე უკანდახევის დროს ახდენს, საფუძვლიანად უშლიან ხელს ქვეითი ჯარის წინსვლას და ძალიან აძნელებენ ბრძოლას. ქარსა და ავდარში, მტრის განუწყვეტელ ცეცხლქვეშ და მისი ხშირი იერიშების დროს, სანგრებში ყოფნა მოითხოვს არა მარტო მუდმივს დაძაბულობას, არამედ ძილზე ხელის აღებასაც. მტერმა კარგად იცის გამაგრება, ადგილ-მდებარეობის გამოყენება".

ბევრი ფაშისტური გაზეთი იძულებულია აღიაროს წითელი არმიის შეიარაღებისა და ტექნიკის მაღალი დონე. „ფელკიშერ ბეობახტერი" სწერს, რომ წითელი არმია „თავით-ფეხამდე შეიარაღებული ბუმბერაზია, როგორიც ისტორიას ჯერ კიდევ არ შეუქმნია". „მოტორიზებული საბჭოთა კოლონები, — სწერს გაზეთი, — ვეშაპს მოგვაგონებენ, რომელსაც სულ მუდამ ახალი თავები ებმება".

„კელნიშე ცაიტუნგი" აღიარებს, რომ „ტერიტორიისა და მნიშვნელოვანი ქალაქების დაპყრობა გადამწყვეტ ფაქტორად ვერ ჩაითვლება, ვინაიდან მოსპობილი არ არის საბჭოთა სამხედრო ძლიერება, რომელიც ეყრდნობა არა მარტო ულევ ადამიანთა რეზერვებს, არამედ მოტორიზაციისა და საარტილერიო საჭურვლის მაღალ დონესაც".

„საბჭოთა ჯარისკაცი, — აცხადებს „კელნიშე ცაიტუნგის" სამხედრო მიმომხილველი, — იბრძვის არა მარტო შეუპოვრად, არამედ წარმოუდგენელი გააფთრებითაც". „ფელკიშერ ბეობახტერი" აღიარებს, რომ „საბჭოთა ჯარისკაცი ფანატიკურად მამაცია, მუდამ მიჰმართავს სხვადასხვა ხერხს და ხრიკს, რომლის გათვალისწინება შეუძლებელია".

როგორც ეტყობა, გერმანელებზე განსაკუთრებით მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს წითელი არმიის შეუპოვარი წინააღმდეგობა ლენინგრადთან. ესენის გაზეთ „ნაციონალ ცაიტუნგის" კორესპონდენტის სიტყვით, გერმანელები იძულებული არიან თავიანთ ცნობებში აღიარონ, რომ „აქ, ლენინგრადთან, ისე გვშლება ნერვები, როგორც წინათ არცერთ ბრძოლაში არა ყოფილა".

„ფელკიშერ ბეობახტერის" სამხედრო კორესპონდენტი 23 სექტემბერს ლენინგრადის ფრონტიდან სწერს, რომ აქ ბრძოლა „შესამჩნევად განირჩევა ყოველივე იმისაგან, რაც ჩვენ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში განვიცადეთ. დიდი ხნით დარჩება ჩვენს მეხსიერებაში ამ ბრძოლის სურათები. ამას ვხედავთ და ვგრძნობთ ყველანი, ვინც ლენინგრადთან ვიმყოფებით".

კორესპონდენტი მწარე ფიქრებს ეძლევა და მელანქოლიურად ღიარებს, რომ „ზოგჯერ გებადება აზრი: შეიძლება ეს ბორცვი იყოს უკანასკნელი რამ, რის დანახვაც შენ მოგიხდება, შეიძლება ვეღარ იხილო ის მიზანი, რომლისკენაც ჩვენ ვისწრაფვით — ლენინგრადი". მის გვერდით სანგრებში მწოლი ჯარისკაცი, თითქოს მის ფიქრებს უპასუხებსო, ამბობს: „საშინლად ჯიუტნი არიან ეს ბოლშევიკები. მაგრამ იცავენ ისინი თავიანთ პოზიციებს".

ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡᲛᲦᲕᲠᲔᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐᲨᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 3 ოქტომბერი (საკდესი). ჩეხოსლოვაკიაში გრძელდება ჰიტლერელთა მიერ პროგრესიული მოღვაწეების დაპატიმრება და მკვლელობა. ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო იუწყება, რომ მარტო 2 უკანასკნელ დღეს ჩეხიასა და მორავიაში სიკვდილით დასაჯეს 89 კაცი და დააპატიმრეს რამდენიმე ასეული კაცი. ჩეხოსლოვაკიის ყველა 9 რაიონში, სადაც საგანგებო მდგომარეობაა შემოღებული, სამხედრო-საველე სასამართლოები მძვინვარებენ. სიკვდილის განაჩენი დაუყოვნებლივ მოჰყავთ სისრულეში.

როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, გერმანულ პრესაში გამოქვეყნდა ცნობა, რომ გესტაპო იკვლევს კიდევ 256 კაცის საქმეს, რომლებიც დაპატიმრებული არიან იმისათვის, რომ მათ ბრალად დასდეს „ჩეხოსლოვაკიაში აჯანყების მოწყობის ცდა".

შვედური გაზეთი „სვენსკა დაგბლადეტი" აღნიშნავს, რომ ჩეხიასა და მორავიაში არსებული ყველა სიწარმო გესტაპოს უშუალო კონტროლს დაუმორჩილეს.

ᲓᲔᲭᲠᲘᲚ ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲚ ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲗᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲜᲐᲙᲐᲓᲘ

ᲥᲔᲜᲘᲕᲐ, 2 ოქტომბერი (საკდესი). ბაზელის გაზეთ „ნაციონალ ცაიტუნგის" ცნობით, ამ უკანასკნელ ხანს რუმინეთის ქალაქებში ძალიან ბევრი დაჭრილი რუმინელი ჯარისკაცი ჩაიყვანეს, რომლებიც ოდესაში იბრძოდნენ. რუმინელი ხელისუფალნი დაჭრილებს უმთავრესად რუმინეთის დასავლეთ ნაწილში მდებარე ქალაქებში ჰგზავნიან.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲐᲕᲘᲐᲪᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲚᲝᲢᲘᲡ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 2 ოქტომბერი (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ 1 ოქტომბერს, ღამით, ინგლისის ავიაციის მოქმედებას, არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობების გამო, შეზღუდული ხასიათი ჰქონდა. მიუხედავად ამისა, ინგლისის თვითმფრინავების მცირე შენაერთმა დაბომბა შტუტგარტსა და სამხრეთ-დასავლეთ გერმანიის სხვა პუნქტებში არსებული ობიექტები. თავს დაესხნენ აგრეთვე ბულონის, კალეს და ოსტენდეს დოკებს. ფრიზის კუნძულებთან მიტანილ იქნა იერიში მტრის გემებზე.

გერმანიის ავიაცია 1 ოქტომბერს, ღამით, გამოჩნდა აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ინგლისში. ზარალი და მსხვერპლი უმნიშვნელოა.

ხმელთაშუა ზღვის აუზში 29 სექტემბერს, ღამით, წარმატებით დავესხით თავს ტრიპოლს. მოტოტრანსპორტის თავმოყრის რაიონში გაჩენილი ხანძარი 150 კილომეტრ მანძილზე სჩანდა. ბენგაზში ყუმბარები დავაყარეთ მოლოსთან მდგარ გემებს.

ინგლისის ავიაციამ იერიში მიიტანა აგრეთვე ქერბინისა და კომიზოს (სიცილია) აეროდრომებზე, სადაც სროლა აუტეხა ძირზე მდგომ თვითმფრინავებს.

გასული კვირიდან დაწყებული, ინგლისის წყალქვეშა ნავებმა და თვითმფრინავებმა ხმელთაშუა ზღვის ცენტრალურ აუზში ჩასძირეს იტალიის სანაღმო გადამლობი, ტორპედო ესროლეს და, როგორც ეტყობა, მოსპეს 5 ათასამდე ტონა წყალწყვის სატვირთო გემი და ქვემეხების ცეცხლით ძლიერ დააზიანეს დიდი ორანძა ნავი. გარდა ამისა, ტორპედო ესროლეს ერთ სატვირთო გემს და ცეცხლი წაუკიდეს სატრანსპორტო გემს. ინგლისის საზღვაო ავიაციის თვითმფრინავებმა მოსპეს 2 დიდი გემი, ხოლო მესამე დააზიანეს. ტრიპოლის მახლობლად ცეცხლი წაუკიდეს საჰაერო გემს და ბენგაზის ნავსაყუდელში ააფეთქეს კიდევ 1 გემი.

კვირის განმავლობაში თავს დავესხით აგრეთვე პალერმოს, ტრიპოლისა და ბარდიის ნავსაყუდელებს.

ᲐᲕᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲙᲚᲘᲡᲘ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲖᲔ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 2 ოქტომბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, სექტემბერში ინგლისის ავიაციამ მოსპო მტრის 212 თვითმფრინავი. ინგლისის ავიაციის საერთო დანაკლისი 211 მანქანას შეადგენს.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲝᲛᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 3 ოქტომბერი (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ ინგლისის ავიაგამანადგურებლებმა 2 ოქტომბერს დიუნკერკის მახლობლად იერიში მიიტანეს მტრის კარჭაპზე, რომელზედაც ხანძარი გაჩნდა. სანაპირო დაცვის თვითმფრინავებმა ნორვეგიის სანაპიროსთან ყუმბარა დააყარეს 2 გემს. ინგლისის ავიაგამანადგურებელთა დიდი შენაერთები ოპერაციებს ეწეოდნენ ლამანშის თავზე და ჩრდილოეთ საფრანგეთში. ჩამოგდებულია მტრის 6 ავიაგამანადგურებელი. ინგლისის 3 ავიაგამანადგურებელი თავის ბაზებში არ დაბრუნებულა.

2 ოქტომბერს, ღამით გერმანიის ავიაცია ინტენსიურად დაესხა თავს ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ინგლისს. განსაკუთრებით ინტენსიურად დაბომბეს ინგლისის სამხრეთ სანაპიროზე მდებარე ქალაქი. საზენიტო არტილერიამ ძლიერი გადამღობი სროლა აუტეხა. გერმანიის ავიაციამ 3 ყუმბარმშენი დაჰკარგა.

ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲗᲐ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲖᲠᲓᲐ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲨᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 2 ოქტომბერი (საკდესი). როგორც ოვერსის ნიუსის სააგენტოს ლონდონელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, ლონდონის პოლონელთა წრეებში მიღებულია ცნობები იმის შესახებ, რომ ბავშვთა სიკვდილიანობა პოლონეთში არაჩვეულებრივად გაიზარდა — ბავშვების 70-მდე პროცენტი ჯერ კიდევ 15 წლის ასაკამდე კვდება. პოლონელებს შესაძლებლობა არა აქვთ მიიღონ თავიანთი ბავშვებისათვის ის უმცირესი ულუფაც კი, რომელიც გერმანელ ხელისუფალთა მიერ დაწესებულია მათთვის. ბავშვთა სიკვდილიანობა ცუდი კვების შედეგია.

ᲛᲝᲑᲠᲫᲐᲜᲓᲐ ᲑᲐᲢᲝᲜᲘ...

ზოგიერთებს ეგონათ, რომ გერმანელები თან მოიყვანდნენ რუს მემამულეებს. ცუდად იცნობენ ისინი ჰიტლერულების ჯიშს: ჰერ მტაცებელი არა თუ ნაქურდალ მიწას, ნაქურდალ ქინძისთავსაც არავის მისცემს. რუსულ სოფელ ოტრადნოეში მობრძანდა ბატონი—გრაფი კრემერი. ამის შესახებ ჩვენ გვამცნო ბრძანებამ გერმანელთა მე-18 დივიზიის მოტოციკლისტთა 38-ე ბატალიონის მიმართ. ბრძანებაში ნათქვამია:

„არმიის უმაღლესი ხარდლის ბრძანებების საფუძველზე ვადგენ, რომ ჩემდამი დაქვემდებარებულ ოლქში აღნიშნული ღონისძიებების შესრულება უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ამ ოლქში მყოფი ჯარების მიერ.

სასოფლო - სამეურნეო ოფიცრებად ინიშნებიან:

ლეიტენანტი მატერნი (მოტოციკლისტთა ბატალიონი)—მის გამგებლობაში იქნება სოფლები მელეხოვო, კუზმიჩინო, მიტნევო, კლევცი.

ლეიტენანტი გრაფ კრემერი (მე-18 დივიზიის სადაზვერვო ჯგუფი) — მის გამგებლობაში იქნება სოფლები ტიმოშინო, ოტრადნოე.

სასოფლო - სამეურნეო ოფიცრები კავშირს ამყარებენ ნდობით აღჭურვილ მამასახლისებთან, რომლებსაც მიუთითებენ, თუ რა სამუშაოები უნდა შესრულდეს დაუყოვნებლივ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მოსავალი აღებულ იქნას უდანაკარგოდ და რომ ჩატარდეს საშემოდგომო თესვა.

მითითებები დამზადებაზე და პურის გაცემის შესახებ შემდეგ იქნება მიცემული.

კოლმეურნეობები დატოვებულ უნდა იქნან როგორც მეურნეობები. გლეხობის მისწრაფებას მიწის დანაწილებისადმი წინააღმდეგობა უნდა გაეწიოს. გლეხებს უნდა ვასწავლოთ, უნდა განვუმარტოთ, რომ საკოლმეურნეო სისტემა, როგორც ბოლშევიკური, უქმდება. მაგრამ ყოფილ კოლმეურნეობათა მიწებზე იწარმოებს მსხვილი მეურნეობა. არაფერი სხვა არ შეიძლება იყოს. თვითეული გლეხი ვალდებულია იმუშაოს საერთო მეურნეობაში. თავისი მუშაობისათვის იგი განსაზღვრული დროის შემდეგ მიიღებს ხოლმე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს ან ხელფასს.

სასოფლო - სამეურნეო ოფიცრების დასახმარებლად სოფლების კომენდანტები ნიშნავენ ყველაზე უფრო შესაფერ უნტერ-ოფიცრებს, რომლებიც ახორციელებენ სამუშაოთა უშუალო მეთვალყურეობას და სასოფლო-სამეურნეო ოფიცერს მოახსენებენ წარმატებათა შესახებ მუშაობაში ან საბოტაჟის, მუშაობაზე უარის თქმის და სხვა შემთხვევების შესახებ. ნდობით აღჭურვილ მამასახლისს უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა ყველა სამუშაოს ჩატარებისათვის. მას ყოველმხრივ უნდა აღმოეჩინოს დახმარება მის თანასოფლელთა წინააღმდეგ.

ᲙᲣᲜᲔᲠᲢᲘ".

ყველაფერი ნათელია. კოლმეურნეობები გადაქცეული იქნებიან გერმანელი მემამულეების მსხვილ მეურნეობებად. ლეიტენანტი მატერნი და გრაფი კრემერი ახალი ტახტის აზნაურები არიან — მათ ურიგებენ რუსების ადგილ-მამულს. ისინი მიიღებენ არა მარტო რუსულ შავნიადაგიან მიწას, არამედ რუს ყმებსაც. 1861 წელს რუსეთში, ხალხის ზეგავლენით, მოსპობილ იქნა ბატონყმობა. 1941 წელს ჰერ ჰიტლერი მის აღდგენას აპირებს, უნტერ-ოფიცრები („ყველაზე უფრო შესაფერნი") მათრახით ხელში მეთვალყურეობას გაუწევენ სამუშაოს მიმდინარეობას. ხოლო გრაფი კრემერი განსაზღვრული დროის შემდეგ თავის ყმებს მიუგდებს ხოლმე კარტოფილის ფოჩებს და ხორბლის ფესვებს. ზარმაცებს საჯინიბოში გაროზგავენ. ქალიშვილებს გრაფს ლოგინში ჩაუწვენენ. უკმაყოფილებს — ჰიტლერულ სახრჩობელას დაუდგამენ.

ბატონი მობრძანდა ჩვენთან: ჰერ გრაფ კრემერი. კარგია სოციალისტური შეჯიბრება გავმართოთ—ვინ იქნება პირველი, რომელიც მიაწვენს ამ ბრწყინვალე ყაჩაღს.

ᲘᲚᲘᲐ ᲔᲠᲔᲜᲑᲣᲠᲒᲘ

(„კრასნაია ზვეზდა", 26/IX, 1941. № 227).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲜᲐᲕᲗᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲘ ᲡᲐᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲝᲛᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ

(ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲢᲠᲔᲡᲢ „ᲡᲐᲥᲜᲐᲕᲗᲘᲡ" ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲐᲛᲮ. Ა. ᲛᲒᲔᲚᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ)

სამამულო ომის დღევანდელ მრისხანე ვითარებაში ჩვენი ქვეყნის ნავთის მრეწველობის მუშაკები შრომითი გმირობის უჩვეულო მაგალითებს გვიჩვენებენ. ისინი მეომრის თავდადებით მუშაობენ, ორმაგად და სამმაგად ადიდებენ ნავთის ამოღების, გადამუშავებისა და ჭაბურღილთა ბურღვის, მათი ექსპლოატაციაში გადაცემის მიცემულ დავალებებს.

ბოლშევიკური პარტიის, მძლავრი საბჭოთა მთავრობის, დიდი **სტალინისა** და მისი ერთგული მოწაფის **ლ. პ. ბერიას** ინიციატივითა და შეუნელებელი მზრუნველობით შექმნილ საქართველოს ახალგაზრდა ნავთის მრეწველობის მუშაკებიც არ ჩამორჩებიან თავის მოძმეთ მეტი ნავთისათვის ბრძოლაში. სამშობლოს წინაშე, სამამულო ომის წინაშე თავისი ამოცანების ღრმა შეგნებით ისინი თავდადებულად და სახელოვნად შრომობენ ნავთის ამოღების სახელმწიფო დავალების გადაჭარბებით შესრულებისათვის.

შედეგიც უკვე თვალსაჩინო და საგრძნობია.

გასულ წელთან შედარებით ტრესტმა წელს ნავთის ამოღება ორჯერ გაადიდა. ნავთის ამოღების 9 თვის გეგმა მთლიანად შესრულებულია. კერძოდ, პატარა შირაქის ნავთსარეწაომ 2 ოქტომბერს შეასრულა ნავთის ამოღების წლიური სახელმწიფო დავალება და წლის ბოლომდე გეგმის გადაჭარბებით ასობით ტონა ნავთს მისცემს ქვეყანას. მირზაანისა და პატარა შირაქის სარეწაოები ამჟამად ნავთის ამოღების სადღეღამისო დავალებას გადაჭარბებით ასრულებენ. ნავთის ამოღებაში განსაკუთრებით გამოირჩევიან ამხ. დავიდიანისა და დოლონაძის ბრიგადები, სისტემატურად იზრდება მოქმედ ჭაბურღილთა ფონდი.

წარმატებით, ვადამდე სრულდება ჭაბურღილთა ბურღვის გეგმებიც. მირზაანის ბურღვის კანტორამ 9 თვის გეგმა 101,8 პროცენტით შეასრულა. ვადამდე ამთავრებენ ჭაბურღილების ბურღვას ჭაბურღილების საუკეთესო უფროსები და ოსტატები. ამხ. პლატონ ფიფიამ № 80 ჭაბურღილი 15 დღით ადრე დაამთავრა, № 72 კი—16 დღით ადრე; ამხ. ახმედოვმა № 78 ჭაბურღილი—42 დღით ადრე დაამთავრა, დურსუნ კაკალაძემ № 193 ჭაბურღილი—14 დღით ადრე და ა. შ.

მთელს ამ მუშაობაში შეუნელებელი ბრძოლა სწარმოებს საწვავ-საზეთი მასალების დაზოგვისათვის, რამაც საშუალება მოგვცა შეგვემცირებინა საბურღავ სამუშაოთა თვითღირებულება 8 თვის განმავლობაში 1.900.000 მანეთით, ხოლო ტონა ნავთის თვითღირებულება გასულ წელთან შედარებით 18 პროცენტით შევამცირეთ.

ამგვარად, საქართველოს ნავთის ტრესტი, რომელიც აქამდე ზარალიან მეურნეობად ითვლებოდა, პირველად წელს აღწევს თავს ამ მდგომარეობას და ორ მილიონ მანეთზე მეტ მოგებას მისცემს სახელმწიფოს.

ვითვალისწინებთ რა, რომ შესაძლებელია ადგილი ექნეს დაბრკოლებებს მწვავე დეფიციტური მილების მიღებაში, სარეწაოებზე შევქმენით სპეციალური ბრიგადა, რომელიც აწარმოებს ამ მილების უმოქმედო, მიტოვებული ჭაბურღილებიდან ამოჭრას, რათა ისინი გამოყენებულ იქნან ახალ ჭაბურღილებზე. ეს ღონისძიება მოგვცემს ასეულ ათასობით მანეთის ეკონომიას. ამასთან დიდი მუშაობაა გაჩაღებული უმოქმედო ჭაბურღილების ასამუშავებლად. ამ მხრივ გეგმა უკვე 80 პროცენტით არის შესრულებული და წლის დამლევამდე იგი გადაჭარბებული იქნება, რაც ტონობით ზედმეტ ნავთს მოგვცემს. გადადგმულია აგრეთვე პრაქტიკული ნაბიჯები მოწყობილობათა სრული სიმძლავრით გამოყენებისათვის.

მაგრამ ეს მაინც არ ნიშნავს იმას, რომ რესურსები ჩვენთან სავსებით ამოწურულია. ისინი ჩვენ კიდევ ბლომად მოგვეპოვება და ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ბოლომდე გამოვავლინოთ და გამოვიყენოთ ისინი წარმოების შემდგომი, უფრო სწრაფი აღმავლობისათვის.

ამისათვის საჭიროა უნაყოფო დგომის სავსებით აღმოფხვრა, სრული მოსპობა ავარიებისა, რომელთაც ცალკეულ შემთხვევებში კიდევ აქვთ ადგილი, ორასოვანთა მოძრაობის რაც შეიძლება ფართოდ გაშლა და სხვ.

დღეს ჩვენ 90-მდე ორასოვანი გვყავს. მათი რიცხვი სისტემატურად იზრდება. წარმოებაში ახლადმოსულ მუშათა კადრების მოსამზადებლად მოწყობილია სპეციალური კურსები, სადაც ისინი ეუფლებიან ნავთის ამოღებისა და ბურღვის ტექნიკას.

საქართველოს ნავთის მრეწველობის მუშაკების პირობა არის წლიური სახელმწიფო გეგმა ოქტომბრის რევოლუციის XXIV წლისთავისათვის შესრულონ. ეს პირობა განუხრელად იქნება შესრულებული. საქართველოს ნავთის მუშაკები სამშობლოს გეგმის გადამეტებით ტონობით ნავთს მისცემენ და ფრონტის მებრძოლებს დაეხმარებიან ვერაგი მტრის განადგურებაში.

ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲨᲘᲠᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲠᲔᲬᲐᲝᲛ ᲜᲐᲕᲗᲘᲡ ᲐᲛᲝᲦᲔᲑᲘᲡ ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲒᲔᲒᲛᲐ ᲒᲐᲓᲐᲭᲐᲠᲑᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲐ

ᲬᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝ („კომუნისტის" სპეც. კორ.). პატარა შირაქის ნავთის სარეწაოს მუშაკთა კოლექტივმა ნავთის ამოღების წლიური გეგმა 2 ოქტომბრისათვის გადაჭარბებით შეასრულა. დავალებების შესრულებაში განსაკუთრებით ისახელეს თავი ნავთის ამომქაჩავი ბრიგადის ტრაქტორისტებმა ს. ბუთნევმა და მ. სემილეტოვმა, ნავთის ამომღები ბრიგადის მემანქანემ მ. ტალალაიკინმა და სხვ., რომლებმაც წლიური გეგმები დიდი გადაჭარბებით შეასრულეს.

პატარა შირაქის ნავთის სარეწაოს მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის პირველი დღიდანვე საომარ ყაიდაზე გარდაჰქმნეს მუშაობა, ისინი ყოველდღიურად ზრდიან შრომის ნაყოფიერებას, ამან უზრუნველჰყო წლიური დავალების ასე ადრე შესრულება.

Ვ. ᲤᲘᲠᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

„ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲤᲐᲨᲘᲖᲛᲘ ᲒᲚᲔᲮᲝᲑᲘᲡ ᲣᲑᲝᲠᲝᲢᲔᲡᲘ ᲛᲢᲔᲠᲘᲐ"

„კომუნისტის" გამომცემლობამ ასეთი სახელწოდებით გამოუშვა მასალათა კრებული აგიტატორის დასახმარებლად, რომელშიაც მოთავსებულია: ი. აზიზიანის სტატია „გერმანიის ფაშიზმი საბჭოთა გლეხობის უბოროტესი მტერია"; ი. ტუგარინოვის — „რა მოაქვს ჰიტლერს საბჭოთა გლეხობისათვის; ი. იუდინის — „ჰიტლერიზმი სძაგრავს ევროპის გლეხობას"; ილია ერენბურგის სტატიები — „ფაშისტ დამპყრობელთა „მიწის რეფორმა", „რა მოაქვთ მათ კოლმეურნეთათვის", „მობრძანდა ბატონი..."; ა. ოსიპოვისა და იაზიკოვიჩის წერილი „ფაშისტ მტარვალთა მხეცობა"; ს. ვაშენცევის—„გლეხებს მხეცურად უსწორდებიან"; ლ. პეროვსკის „სამი დოკუმენტი"; კოლმეურნეთა ნაამბობი „ფაშისტები მემამულურ წყობილებას ამყარებენ" და „რუმინელი ოფიცრის დღიური".

კრებული ღირს 60 კაპ.

„ᲛᲒᲖᲜᲔᲑᲐᲠᲔ ᲙᲝᲚᲮᲘᲓᲔᲚᲘᲡ" ᲡᲐᲐᲒᲘᲢᲐᲪᲘᲝ ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲘ

საქ. კ. პ. (ბ) ფოთის საქალაქო კომიტეტისა და ფოთის ქალაქის საბჭოს ყოველდღიურმა ორგანომ გაზ. „მგზნებარე კოლხიდელმა" დაიწყო საბჭოთა ხალხის დიადი სამამულო ომისადმი მიძღვნილი სააგიტაციო ფურცლების გამოშვება. უკვე გამოვიდა სააგიტაციო ფურცლის პირველი ნომერი, რომელიც მრავალფეროვანია როგორც შინაარსობრივად, ისე ილუსტრაციებით.

ფურცელში მოთავსებულია 14 სხვადასხვა წერილი და შენიშვნა, რამდენიმე ლექსი და 7 ილუსტრაცია, მათ შორის ერთი კარიკატურა.

ᲞᲐᲠᲢᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ

საქ. კ. პ. (ბ) ფოთის საქალაქო კომიტეტი აცხადებს, რომ პარტიული ბილეთები № 4343465, გაცემული პავლე გაბუს-ძე **მალანიას** სახელზე, და № 3301882, გაცემული სარდიონ ზაქარიას-ძე **ქირიას** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ

6 ოქტომბერს, საღამოს 7 ს. 30 წ. საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ქალაქის საპარტიო კაბინეტის სალექციო დარბაზში (ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლი) შესდგება პროფესორ ათარბეგოვის მოხსენება რუსულ ენაზე. თემა: „**ჰიტლერი სლავი ხალხების უბოროტესი მტერია**".

ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲝᲞᲔᲠᲐ — 5 ოქტომბერს—„სამსონ და დალილა", **ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ** — 5 და 7 ოქტომბერს—„კიკვიძე", 8 ოქტომბერს — „რღვევა", 9 ოქტომბერს — „კიკვიძე", **ᲛᲐᲠᲯᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ** — 5 ოქტომბერს—„კრემლის კურანტები", 7 ოქტომბერს — „ცხვრის წყარო", 8 ოქტომბერს—„ბერლინის გასაღები", **ᲛᲝᲖᲐᲠᲓ ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ**—5 ოქტომბერს—„თოვლის დედოფალი" (მე-15 აბ. დასაწყ. დღის 10 ს., მე-36 აბ. დასაწყ. დღის 1 ს. და 30 წ. მე-34 აბ დასაწყ. საღამოს 6 ს.), **ᲑᲔᲠᲘᲐᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ** — 5 ოქტომბერს —„ჯადოქარი" (ხარკოვის ებრაული სახელმწიფო თეატრის წარმოდგენა), **ᲒᲠᲘᲑᲝᲔᲓᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ** — „პროფესორი მამლოკი".

ᲓᲦᲔᲡ ᲙᲘᲜᲝᲔᲑᲨᲘ

რუსთაველის სახ.—„მელორე" (ფერადი ფილმი), **ოქტომბერი**—„მუსიკალური ისტორია", **დამკვრელი** — „დაგვიანებული სასიძო", **კომკავშირელი** — „გულადი ნაზარა", **სპარტაკი**—„დიდი ვალსი", **ლუქსემბურგის სახ.** — „ანტონ ივანეს-ძე ჯავრობს", **კომინტერნი**—„მეკარე", **განთიადი** — „მესაზღვრეები", **26 კომ. სახ.** —„ანტონ ივანეს-ძე ჯავრობს", **ვოროშილოვის სახელობის კლუბი**—„კაცი რესტორანიდან", **ნავთლუღის რკინიგზის კლუბი**—საბრძოლო კინოკრებული № 2", **ᲓᲦᲘᲡ ᲡᲔᲐᲜᲡᲔᲑᲘ:** **დამკვრელი** — „ნათელი გზა", **სპარტაკი** — „მეგობრები ბანაკიდან", **26 კომ. სახ.**—„კინო 20 წლის განმავლობაში".

პასუხისმგებელი რედაქტორი Ვ. ᲮᲐᲢᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲡᲐᲮᲙᲝᲛᲡᲐᲑᲭᲝᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ Ა. Წ. 3 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲘᲡ № 475-ᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲓ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲘᲜᲓᲣᲡᲢᲠᲘᲣᲚᲛᲐ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲛᲐ

Ა. Წ. 1 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲜᲐᲐᲮᲚᲐ ᲛᲔᲪᲐᲓᲘᲜᲔᲝᲑᲐ ᲓᲐᲣᲡᲬᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲗᲐᲜ.

ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲐ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲡᲢᲐᲪᲘᲝᲜᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ.

რაიონებში წინათ არსებული სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტები გაუქმებული რჩებიან. დაუსწრებელი სწავლების იმ სტუდენტებს, რომელნიც თბილისში ცხოვრობენ, ნება ეძლევათ საკონტროლო სამუშაოების ნაცვლად ჩათვლა და გამოცდები ჩააბარონ სტაციონარული ჯგუფების თანაბრად, ხოლო დაუსწრებელი სწავლების ის სტუდენტები, რომლებიც რაიონებში ცხოვრობენ, მეცადინეობენ ინსტიტუტიდან მიღებული საკონტროლო მონაცემებით.

დაუსწრებელი სწავლების გაგრძელების მსურველნი ვალდებული არიან გაატარონ აღრიცხვაში სათანადო ფაკულტეტების დეკანატებში, პირადად ან წერილობითი განცხადებით.

საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის დირექტორი ᲑᲝᲯᲒᲣᲐ.

საქ. სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირი „ცეკავშირი" იუწყება ᲡᲐᲨᲐ ᲗᲔᲝᲤᲐᲜᲔᲡ-ᲐᲡᲣᲚ ᲚᲝᲛᲘᲐ-ᲑᲐᲚᲐᲕᲐᲫᲘᲡ გარდაცვალებას. გამოსვენება 5/X 2 ს. იორის, 26 (ვლაბარი), ვერის სასაფლაოზე. 12455

„საქწყალპროექტის" ადმინისტრაცია და ადგილკომი იუწყებიან ნატალია ზაქარიას-ასულ **ხაზარაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 5/X 3 ს. არსენალის გზატკეცილი № 19, კუკიის სასაფლაოზე. 12456

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, № 28. ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ: ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ—3—62—26; Პ/ᲛᲒ. ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡᲐ—3—63—03; ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲜᲘᲡ — 3—08—67; Პ/ᲛᲒ ᲛᲓᲘᲕᲜᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡᲐ — 3—06—88; ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡᲐ: ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲞᲐᲒᲐᲜᲓᲘᲡ — 3—81—84; ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ, ᲡᲐᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝ-ᲡᲐᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲝ, — 3—80—83; ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ, ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ-ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ — 3—80—84; ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝᲡᲘ — 3—57—61; ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ — 3—73—24; Პ/ᲛᲒ. ᲛᲝᲠᲘᲒᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲛᲨᲕᲔᲑᲘᲡ — 3—81—65; ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲘᲡ—3—51—81; ᲡᲢᲐᲛᲑᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ—3—77—70. ᲮᲔᲚᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲡ ᲐᲠ ᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐᲗ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. უე 41404